ეს საშუალო გუნდიც არ არის

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 21 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ზარია” (ვოროშილოვგრადი) 2:3 (0:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, რეხვიაშვილი.

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, გუსევი, ვასენინი, ჟურავლიოვი, კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ელისეევი, კუკსოვი, ავერიანოვი.

მსაჯი: ე. ლუშინი (მოსკოვი).

გოლები: ელისეევი (2), ბელოუსოვი, ქორიძე, ყიფიანი (11–მეტრიანი).

დიახ, სამწუხარო ამბავი, მაგრამ ცხადზე ცხადი ფაქტია, რომელსაც ვერსად წაუხვალ: თბილისის “დინამო” ახლა საშუალო კი არა, უბრალოდ, სუსტი გუნდია, ერთ–ერთი ყველაზე სუსტი გუნდი უმაღლეს ლიგაში. მდიდარი ტრადიციები, ბრწყინვალე შედეგები, ექსტრაკლასის მოთამაშეები, დიდი სპორტული ავტორიტეტი გამარჯვებებით მოპოვებული უსაზღვრო სიხარული და სხვა მისთანანი წარსულს ჩაჰბარდა. ერთი თბილისის “დინამო” – ორიგინალური, საინტერესო მოვლენა საბჭოთა ფეხბურთში, არქივის კუთვნილებად იქცა, მეორე კი, ის, რომელიც ახლა გვყავს, როგორც იტყვიან, გარეთ მტერს უყენებს თვალს და შინ – მოყვარეს.

მდგომარეობა სერიოზულია. უფრო მეტიც: გუნდი კატასტროფის წინაშე დგას, და, თუ ასე გაგრძელდა საერთოდ დავკარგავთ ყველაფერს, რაც ათეული წლების მანძილზე შეუქმნიათ და უტარებიათ თაობებს. ვისაც რაიმე ეჭვი ეპარება ზემოთქმულის კანონზომიერებაში ან სისწორეში, ვთხოვთ დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ ვცდებით, რომ საქმე კარგადაა და ტყუილად, მოჭარბებული სკეპტიციზმის გამო ვტეხთ განგაშს.

ყოველგვარ მტკიცებას საბუთები ესაჭიროება, ჩვენ კი გვაქვს საბუთები, რომლებიც ცხადყოფენ თბილისის “დინამოს” ბოლო პერიოდის მძიმე ჩავარდნას.

უკანასკნელი გამარჯვება, რომელიც თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატში, გახლდათ მოგება ლვოვის “კარპატისთან” თბილისში – 1:0. ეს იყო 27 ივლისს. მას შემდეგ ჩვენმა გუნდმა წააგო მოსკოვის “ტორპედოსთან”, ფრედ ითამაშა ცსკა–სთან, როსტოვის არმიელებთან, მოსკოვის “ლოკომოტივთან”, წააგო ლენინგრადის “ზენიტთან” და ახლა – “~ზარიასთან”. ამას გარდა, თბილისელები თასის გათამაშების მატჩში დამარცხდნენ ერევნის “არარატთან” და საერთაშორისო მატჩებში – ესპანეთის “სევილიასთან”, არგენტინის “რივერ პლეიტთან”, თურქეთის “ტრაბზონსპორთან” (არ გავიხსენებთ “ამხანაგური” მატჩის წაგებას კალუგაში).

რაზე მეტყველებს ეს ხანგრძლივი მარცხიანი სერია, თუ არა საფუძვლიან სერიოზულ კრიზისზე? 12 შესაძლებლიდან სულ 3 ქულა – ასეთი სავალალო შედეგი საკავშირო გათამაშებაში შეარყევს რომელიც გნებავთ გუნდის პოზიციებს, მით უმეტეს, თბილისის “დინამოსას”, რომლისთვისაც თითოეული ქულა ახლა ოქროდ ფასობს. წინ კი უმძიმესი მატჩებია დონეცკში, ტაშკენტში, დნეპროპეტროვსკში, შინ – “არარატთან”, კიევის “დინამოსთან”, მოსკოვის “დინამოსთან”, “სპარტაკთან”…

21 სექტემბერს მხოლოდ ერთი სიხარული გვქონდა, როცა ღამით უკანასკნელ ცნობებში გადმოსცეს ცსკა–ს, “ლოკომოტივის”, “ზენიტის”, “ფახთაქორისა” და დონის როსტოვის ასკ–ს დამარცხებათა ამბავი. ეს რომ არა, ყველა აუტსაიდერი

წამოგვეწეოდა, როსტოველთა გარდა, და კვლავ სრული სიმწვავით დადგებოდა საკითხი უმაღლეს ლიგაში ყოფნა–არყოფნის შესახებ. თუმცა, არც ესაა გამორიცხული, თუ დინამოელებმა ასეთივე ტემპით განაგრძეს სვლა ჩემპიონატის ფინიშზე.

თავი დავანებოთ ამ ციფრებით მანიპულაციას და განვიხილოთ გუნდის თამაშის ხარისხი, მისი კლასი.

უარესი სურათი, ვიდრე "ზარიასთან" მატჩში ვნახეთ, ძნელი წარმოსადგენია. ასეთი თამაში, ისიც ასეთ ვითარებაში, საკუთარ მინდორზე, თავისი გულშემატკივრების წინაშე, არ ეპატიება არავის, არც იმ ფეხბურთელებს, ვინც მინდორზე იყო, არც მათს მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს, ვისაც ამგვარად "მომზადებული" გუნდი გამოჰყავს ასპარეზზე.

მატჩის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ თბილისელები მაინცდამაინც არ იწუხებდნენ თავს ზედმეტი დატვირთვით. ეს იყო ყვითელმაისურიანი ახალგაზრდების მასობრივი საკვირაო სეირნობა მწვანე მინდორზე. არც ერთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არც ერთი დინამოელის თამაშში არ იგრძნობოდა, რომ იგი საკავშირო ჩემპიონატის მატჩის მონაწილე იყო და კონკრეტული მოვალეობა ჰქონდა შესასრულებელი. სეირნობდნენ ნახევარმცველები, რომლებიც არც არავის იჭერდნენ და არც არავის აწვდიდნენ ბურთს მოწინააღმდეგეთა გარდა, თავის შესაქცევად ასრულებდნენ მსუბუქ, სასიამოვნო გარბენს მოკლე მანძილებზე. თავდამსხმელები ზანტად, ზლაზვნით მოძრაობდნენ, სისტემატურად ცდებოდნენ მცველები. ერთი სიტყვით, უშფოთველი იდილია სუფევდა, ვოროშილოვგრადელი ფეხბურთელები უკეთესს ვერაფერს ინატრებდნენ!

არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია თბილისელთა რიგებში "ზარიას" მიერ გატანილ პირველ გოლს. როცა ტაიმი გათავდა, ისინი, როგორც მინდორზე დადიოდნენ თამაშის დროს, ასევე მშვიდად გაემართნენ გასახდელისკენ.

პირველ გოლს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე… ასეთი რამ იშვიათად ხდება ჩვენს სტადიონზე. მხოლოდ მაშინ, როცა საქმე 3:0–მდე მივიდა, გუნდი საღათას ძილიდან გამოფხიზლდა იძულებით, ტრიბუნების მწყობრი სტვენის ქვეშ. ამოძრავდნენ ფეხბურთელები მხოლოდ მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ ყოვლად უსისტემო, ქაოსურმა, სტიქიურმა შეტევებმა ვერ იხსნა წაგებული მატჩი და მორიგი, მეცხრე დამარცხება უიმედოდ ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

ჩვენ განგებ არ გამოვყოფთ ცალკეულ მოთამაშეთა შეცდომებს, არ ვახასიათებთ მათს თამაშს, ვინაიდან ასეთი აღნიშვნები მოკლებულია ყოველგვარ აზრს. სუსტად, უმგვანოდ ითამაშა უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა, თერთმეტივემ (მწვრთნელებმა რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნიეს შეეცვალათ თუნდაც ერთი კაცი) და არც ერთი არ იყო მათ შორის, რომლის მისამართითაც შეიძლებოდა იოტისოდენა კომპრომისი მაინც დავუშვათ.

თერთმეტმა ჩვენმა ფეხბურთელმა დიდი წყენა მიაყენა ათეულ ათასობით მაყურებელს და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით – გულშემატკივრებს, მშრომელ ადამიანებს, რომლებიც ასეთი იმედით მოელოდნენ ამ საპასუხისმგებლო თამაშს.

მით უფრო გასაკვირია, რომ მატჩის შემდეგ "დინამოს" ხელმძღვანელებმა თავიანთს ფეხბურთელებს ყველას ერთი ხელის მოსმით "სამიანები" ჩამოუმწკრივეს ოქმში.

“სამიანი” დამაკმაყოფილებელი ნიშანია და გასაოცარია, ნუთუ მწვრთნელები კმაყოფილი არიან დინამოელთა ასეთი თამაშით? მაშ ცუდად ყოფილა საქმე! გამოდის, რომ მდგომარეობას არა უშავს და ამითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ.

არავითარ შემთხვევაში! თბილისის “დინამოს” ასეთი თამაში არ აკმაყოფილებს გულშემატკივრებს. წინათ ჩვენ ვჩიოდით, რომ გუნდი საშუალო დონეზე ჩამოქვეითდა, ახლა კი უარესიც ირკვევა: “დინამო” ელემენტარულად სუსტია, აუტსაიდერთა დონისაა, ამას კი ვერავინ შეურიგდება. საქმე ძალიან ცუდადაა, საჭიროა საგანგებო ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობას ვერავინ იხსნის. ამას კარგად ვხედავთ ყველა, ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს თბილისის “დინამოს” თითოეული წევრი – მწვრთნელებიცა და მოთამაშეებიც.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 28 სექტემბერი, 1973 წ.